

**შპს „მეგარონ“-ის ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი შენიშვნა		
	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	60167	67277	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	49561	44273	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	142754	7948	3.3
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები			
მარაგები	3272	76597	3.4
მ.შ. - მზა პროდუქცია			
- სხვა	3272	76597	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	46797	45815	
სხვა არამატერიალური აქტივები	178883	711	
ძირითადი საშუალებები	4319138	4326752	3.5
სულ აქტივები	4800572	4569373	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი			
სავაჭრო ვალდებულებები	50049	22100	
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8187		
საგადასახადო ვალდებულებები	85390	24409	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	92228	43946	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		663084	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	463852		3.6
სხვა ვალდებულებები		2526553	3.7
სულ ვალდებულებები	699706	3280092	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	2000	2000	
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	4101866	1287281	
სულ საკუთარი კაპიტალი	4103866	1289281	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4803572	4569373	
სულ მოკლევადიანი აქტივები	302551	241910	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	235854	3280092	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი: _____

ელენა ტალანოვა

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2023	2022	
ნეტო ამონაგები	2558892	2443257	3.8
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწვიდან	2558892	2442111	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		1146	
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება			
საერთო მოგება	2558892	2443257	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		90862	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-341466	-291079	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-143166	-128344	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-25636	-29520	
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-579728	-560973	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1089996	-919054	
საოპერაციო მოგება	1468896	1524203	
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	6484	-27919	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	32285		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1507665	1496284	
მოგების გადასახადის ხარჯი	-199059	-209003	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	1308606	1287281	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1308606	1287281	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1289281	1448223	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1128000	-1444340	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	2633979	-1883	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4103866	1289281	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი: _____

ელენა ტალანოვა

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1192041	1037752
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-75412	-24792
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1127830	-1032942
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-11201	-19982
სავალუტო კურსის ეფექტი	4091	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	67277	87259
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	60167	67277

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი: _____

ელენა ტალანოვა

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „მეგარონ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია 2003 წლის 3 ივლისს დიდუბე ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 205008882. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ., N 42, ბინა N 12, მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, აგლამის ქუჩა N 15.

1.2. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მაქსდელ (ოვერსის) ლიმიტედ, 142243 /კვიპროსი/, თემისტოკლი დერვილ, 3 ჯულია ჰაუს, ნიქოზია.

1.3. კომპანიის დირექტორია ელენა ტალანოვა (პ/ნ 01009008486).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები.

1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან/მომსახურების გაწევიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში ან სხვა აქტივის თვითღირებულების კომპონენტად. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამოჩაკლისი შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.6894 ლარი;

1 EUR = 2.9753 ლარი;

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.7020 ლარი;

1 EUR = 2.8844 ლარი;

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	8598	25736
ლარი საბანკო ანგარიშებზე	6246	2252
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	45323	39288
სულ:	60167	67276

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში: სს „ლიბერთი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები ქონების იჯარით გაცემიდან	45353	44273
მოთხოვნები ანგარიშვლდებული პირების მიმართ	4208	
სულ:	49561	44273

3.3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	142754	5194
წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები		2754
სულ:	142754	7948

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
საწვავი	158	1018
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3114	75579
სულ:	3272	76597

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2022 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	2991179	0		2991179			2991179
დაუმთავრებელი მშენებლობა	33506	-333152		366658	65133		301525
შენობები	848981	392515	57439	513905	0	54725	568630
ნაგებობები	347011	42050	28441	333402	104129	25185	254458
მანქანა-დანადგარები	5073	141	2818	7751	6393	2983	4341
დიზელ-გენერატორები და ელექტრო- გადამცემი საშუალებები	4697	-1179	870	6746	0	1547	8293
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	13937	1731	6289	18495	0	6259	24753
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3077	-19676	1033	23786	5336	6001	24450
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	12200	-51	3328	15580	16693	1113	0
სარეკლამო საშუალებები	5688	6500	813	0		231	231
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	53789	46564	42024	49250	13062	30191	66378
სულ:	4319138	135443	143056	4326752	210746	128235	4244238

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიან დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2023 წლის ბოლოს - 1757502 ლარი;

2022 წლის ბოლოს - 1614417 ლარი.

3.6. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
გრძელვადიანი სესხი რეზიდენტი ბანკისგან	463852	
მოკლევადიანი სესხი რეზიდენტი ბანკისგან		663084
სულ:	463852	663084

3.7. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
გადასახდელი დივიდენდი	0	2526553
	0	2526553

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
რეკლამის ხარჯები	(37406)	(37282)
საღარიბო აპარატებთან დაკავშირებული ხარჯები	(102)	
მიწოდების სხვა ხარჯები	(65812)	(43508)
ელექტროენერგიის ხარჯი	(208697)	(235128)
გაზი, წყალი და ანალოგიური ხარჯები, გარდა ელექტროენერგიისა	(77853)	(72698)
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	(319)	
საკანცელარიო ხარჯები	(1427)	
კომპიუტერის ხარჯები	(522)	
დაცვის ხარჯი	(965)	
კომუნიკაციის ხარჯები	(6266)	(6103)
სამეურნეო ხარჯი	(1062)	
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(2721)	(2646)
ჰიგიენური საშუალებების ხარჯი (ოფისისთვის)	(4946)	
მთარგმნელობითი ხარჯები	(376)	
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(1433)	
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(2387)	
საპროექტო ხარჯები	(9255)	
საგადასახადო ხარჯები	(20857)	(19727)
საბანკო ხარჯები	(6874)	
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	(10819)	
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	(37257)	
წარმომადგენლობითი ხარჯები	(1484)	
დასუფთავების ხარჯი /დასუფთავების სამსახური/	(46743)	(41848)
სადეზინფექციო, სადერატიზაციო ხარჯი	(800)	
დასუფთავების ხარჯი	(30000)	
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	(3345)	(102033)
სულ:	(579728)	(560973)

3.9. სასამართლო დავები

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი შენიშვნა		
	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	60167	67277	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	49561	44273	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	142754	7948	3.3
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები			
მარაგები	3272	76597	3.4
მ.შ. - მზა პროდუქცია			
- სხვა	3272	76597	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	46797	45815	
სხვა არამატერიალური აქტივები	178883	711	
ძირითადი საშუალებები	4319138	4326752	3.5
სულ აქტივები	4800572	4569373	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი			
სავაჭრო ვალდებულებები	50049	22100	
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8187		
საგადასახადო ვალდებულებები	85390	24409	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	92228	43946	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		663084	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	463852		3.6
სხვა ვალდებულებები		2526553	3.7
სულ ვალდებულებები	699706	3280092	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	2000	2000	
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	4101866	1287281	
სულ საკუთარი კაპიტალი	4103866	1289281	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4803572	4569373	
სულ მოკლევადიანი აქტივები			
	302551	241910	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	235854	3280092	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი:

ე. მარგალიტაძე

ელენა ტალანოვა

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



საქმიანობის შედეგები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2023	2022	
ნეტო ამონაგები	2558892	2443257	
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	2558892	2442111	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები		1146	
გაყიდვების თვითღირებულება			
საერთო მოგება	2558892	2443257	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		90862	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-341466	-291079	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-143166	-128344	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-25636	-29520	
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-579728	-560973	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-1089996	-919054	
საოპერაციო მოგება	1468896	1524203	
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	6484	-27919	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	32285		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1507665	1496284	
მოგების გადასახადის ხარჯი	-199059	-209003	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	1308606	1287281	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1308606	1287281	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1289281	1448223	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1128000	-1444340	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	2633979	-1883	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4103866	1289281	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი:

გ. ჩხეიძე



ელენა ტალანოვა

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის ჩართული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1192041	1037752
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-75412	-24792
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1127830	-1032942
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-11201	-19982
სავალუტო კურსის ეფექტი	4091	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	67277	87259
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	60167	67277

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი:

ე.ყარაძე



ელენა ტალანოვა

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.